პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა შეერთდით

პარასკევი, 30 მაისი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 5 კაპ. ჩერ.

წითელი არმიელი

№ 51 | პ. მ. დ. პოლიტ-განყ-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. სავალდ. ელ. 86.

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონ ნეკ. ნომპარელის სტრიქონი
სამწლოვიანო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდე

სამხედრო კორესპოდენტების თათბირი!

კვირას, 1 ივნისს, დილის 10 საათზე გაზეთ „წითელ-არმიელის“ რედაქციის შენობაში (ჯორჯიაშვილის, ყოფ. ბარიატინსკის ქუჩა, № 8), დანიშნულია თბილისის გარნიზონში მყოფ ქართულ დივიზიის ნაწილების

პასუხისმგებელ სამხკორების და პარტკორების თათბირი.

დღის წეს რიგი: 1) მოხსენება წითელ-არმიელთა გაზეთების რედაქტორებისა და სამხკორების სრულიად საკავშირო თათბირზე.

2) მიმდინარე კითხვები.

საკითხების დიდი მნიშვნელობის გამო, დასწრება ყველასათვის აუცილებელი და სავალდებულოა.

გაზ. „წითელი არმიელის“ რედაქცია.

ინგლის-საბჭოთა მოლაპარაკების გარშემო.

ინგლის-საბჭოთა მოლაპარაკება ლონდონში გრძელდება. როგორც დეპეშებიდან სჩანს კონფერენციის მუშაობა ნელის ტემპით მიიწევს წინ. ეს გარემოება სავსებით ბუნებრივია, რადგან საკითხები, რომლებიც უნდა გაარჩიოს კონფერენციამ ეხებიან ორივე მხარეთა საარსებო ინტერესებს.

როგორც საბჭოთა, კავშირი ისე ინგლისი ღრმად დაინტერესებული, რათა მოლაპარაკება დამთავრდეს ნაყოფიერად. კერძოდ ინგლისის დელეგაცია ყოველივე ღონისძიებას მიმართავს, რათა ხელი შეუწყოს კონფერენციის ნორმალურ მსვლელობას.

ეს კი სავსებით ასახსნელია, რადგან მწვავე ეკონომიური კრიზისი, პასიური სავაჭრო ბალანსი, უმუშევრობის ზრდა და ჩვენი განმტკიცება-გაძლიერება — ყველაფერი ეს აიძულებს ინგლისის ბურჟუაზიას და მის მონა-მორჩილს „მუშათა“ მთავრობას იქონიოს ჩვენთან მშვიდობიანი დამოკიდებულება და მჭიდრო სავაჭრო ეკონომიური კავშირი.

მაგრამ ამავე დროს ინგლისის მტაცებელი კაპიტალისტები არ ივიწყებენ თავის ძველ მოთხოვნილებებს და სურთ გაანაღდონ ის ამ კონფერენციაზე. ეს ნათლად მოსჩანს თუნდაც იმ ფაქტიდან, რომ მათ მოგვთხოვეს ომამდე არსებულ ვალების გადახდა და ისიც დაუყოვნებლივ. ამაზედ ჩვენმა დელეგაციამ კატეგორიულად განუცხადა, რომ ამ მოთხოვნილების საკითხი დაკმაყოფილება საბჭოთა კავშირს არ შეუძლია.

ასეთი პასუხის შემდეგ ინგლისის დელეგაცია იძულებული გახდა ცოტა თავისი ტონი დაეშვა და ერთგვარ დათმობაზე წასულიყო.

ასეთია საერთოდ კონფერენციის მუშაობის პირველი დღეები. ვნახოთ რას მოგვიტანს შემდეგი.

აქვე აღსანიშნავია სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ტომსკის აზრი სესხის შესახებ.

მან განაცხადა, რომ ჯერ ჯერობით სესხს ინგლისის ბურჟუაზია არ მოგვცემსო. ამხ. ტომსკის აზრი ამ შემთხვევაში ჩვენთვის საგულისხმოა რადგან ეს ერთ ერთი წყვრია ჩვენი დელეგაციის ხელშეკრულ კონფერენციაზე. მაგრამ მიუხედავად ამისა, იმავე ტომსკის განცხადებით, საბჭოთა—ინგლის მოლაპარაკებას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან „ის ხსნის ჩვენს წინაშე ეკონომიურ და ფინანსიურ გზებს“.

ინგლის-საბჭ. კონფერენცია

ამხ. ტომსკი—საბჭოთა-ინგლისის მოლაპარაკების შესახებ.

საქმლის მიმწოდებელ მუშა-მოსამსახურეთა ყრილობაზე, საბჭოთა-ინგლისის მოლაპარაკების შესახებ წარმოთქმულ სიტყვაში ამხ. ტომსკიმ აღნიშნა, რომ შემცდარია ის აზრი, თითქოს ევროპიდან ჩვენ შეგვეძლოს რაიმეს მიღება ჩვენი მეურნეობის ფეხზე დაყენებისათვის.

კაპიტალისტები მხოლოდ მაშინ მოგვცემენ სესხს, თუ გავისტუმრებთ ძველ ვალებს და აღვადგენთ კერძო საკუთრებას.

ინგლისის მთავრობა თანაგრძნობით ეპყრობა ს. ს. რ. კ. სესხის აღების საკითხში, მაგრამ ის უძლურია, რადგან უხდება არსებულ წესწყობილების დროს მოქმედება.

მოლაპარაკების მდგომარეობის და მისი შედეგების შესახებ რაიმეს თქმა ძნელია, მაგრამ ხსენებულ მოლაპარაკებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ის გვიჩვენებს ფინანსიურსა და ეკონომიურ გზებს.

ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენ ფულს ვერ მივიღებთ და იძულებული ვიქნებით დავკმაყოფილდეთ საკუთარი ძალებით, რადგან ბურჟუაზიას ჩვენ ვერაფერს დაუთმობთ.

საბჭოთა დელეგაცია ომის დროის ვალების გადახდის შესახებ.

საბჭოთა-ინგლისის კონფერენციის მესამე სხდომაზე ინგლისის დელეგაციამ განაცხადა, რომ მას სრულიად არ უფიქრია ვალების სრულიად და ეხლავე მიღებაზე. საბჭოთა დელეგაციის პასუხი ამის შესახებ აღნიშნავს, რომ მან სიამოვნებით მოისმინა ინგლისის მთავრობის განცხადება, რომელიც არ მოითხოვს ომამდე აღებულ ვალების ეხლავე და სრულიად გადახდას. საბჭოთა დელეგაცია აღნიშნავს, რომ რუსეთმა 19 მილიონი კაცი გამოიყვანა ბრძოლის ფრონტზე, რომელიც იბრძოდა მოკავშირეებთან ერთად, იმდროს, როდესაც მოკავშირეებმა, ერთად გამოიყვანეს მხოლოდ 21 მილ. კაცი.

საბჭოთა კავშირი სამი წელიწადი იბრძოდა 14 სახელმწიფოს კოალიციის წინააღმდეგ, გადაიტანა ერთი წლის უსაშინელესი სიმშილობა და ამიტომ ომამდე აღებულ ვალების ერთბაშად და ეხლავე გადახდა შეუძლებელია.

რეიხსტაგის მუშაობა

კომუნისტების წინადადება.

რეიხსტაგმა გადასცა კომისიას კომუნისტების წინადადება, რომელშიაც მოთხოვნილია დაპატიმრებულ კომუნისტ-დეპუტატების განთავისუფლება. კომუნისტებსა და უკიდურეს მემარჯვენეთა შორის მოხდა სასტიკი შეხლა.

სისხლიანი თაიგული.

რეიხსტაგის ბახნის დროს მოხდა მთელი რიგი სასტიკი სცენებისა. კომუნისტებმა მიუტანეს ლიუდენდორფს გასისხლიანებულ ყვავილების თაიგული.. ამას მოყვა არეულობა, რის შემდეგ კომუნისტებმა დაიწყეს „ინტერნაციონალის“ სიმღერა. იმავე დროს მემარჯვენე პარტიებმა იმღერეს „დოიჩლანდ იუბერ ალლეს“ (გერმანია უპირველეს ყოვლისა).

„ფორვერტსის“ აზრი.

„ფორვერტსი“ აცხადებს, რომ სოციალისტები წინააღმდეგი იქნებიან ყოველგვარი კოალიციის, რომელშიაც შევლენ ნაციონალისტები.

თავმჯდომარის არჩევნები რეიხსტაგში.

ხანგრძლივი თათბირის შემდეგ რეიხსტაგმა 227 ხმით 151-ს წინააღმდეგ თავმჯდომარედ აირჩია ნაციონალისტი ვალრაფი.

ვიცე—თავმჯდომარეებად არჩეულ იქნენ სოციალისტი დიტმანი და ცენტრის თავმჯდომარე ბელი.

სასახლის სოციალისტი

დამოუკიდებელ სოციალისტურმა პარტიამ გლეზგოში მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც გამოთქმულია პროტესტი მაკდონალდის წინააღმდეგ, რომელმაც მონაწილეობა მიიღო სასახლის სხვა და სხვა ცერემონიებსა და მილოცვებში უცხოელ მეფის გვარეულობის მიღების დროს.

მესაკუთრეთა პრეტენზიები.

იმ პრეტენზიების შესახებ, რომლებიც წარმოიშვენ კერძო საკუთრების ნაციონალიზაციის გამო, საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა შემდეგი წინადადების შემდეგი სქემა: „საბჭოთა დელეგაციამ დაიწყო მოლაპარაკება ზოგიერთ ყოფილ მესაკუთრეებთან, რომ მათ მიეცემათ კონცესიის სახით მათი ძველი საკუთრება, რომელიც ამ ჟამად ჩამორთმეულია.

საბჭოთა დელეგაცია ფიქრობს, რომ მოლაპარაკების დროს გამონახულ იქნება პრაქტიკული მეთოდები ყოფილ კერძო საკუთრების შესახებ. ამის გამო საბჭოთა დელეგაციას წინადადება შეაქვს გადადებულ იქნას საკითხის გარჩევა ჩამორთმეულ კერძო საკუთრების შესახებ.

საბჭოთა კავშირში.

რურის ახკომკავშირელთა გასამართლების საწინააღმდეგო პროტესტები.

რურში ასამართლებენ **150 კომკავშირელს** და საფრანგეთის არმიის იმ ჯარის კაცებს, რომლებიც აგიტაციას ეწეოდენ საფრანგეთის სოკუპაციო ჯარებში, ამის გამო მოსკოვის ყველა წარმომებებში ეწყობა საპროტესტო კრებები. ზოგიერთ კომუჯრედებმა დაადგინეს მიიღოს რურის ახკომკავშირზე შეფობა და დაპატიმრებულებს გაუწიონ ყოველგვარი მატერიალური დახმარება.

რადის მტარებელი მაღნები ალტაის მთებში.

ფერგანიდან დაბრუნებულმა აკადემიკოს ფერსანმა ალტაის მთებში აღმოაჩინა უმდიდრესი რადის მტარებელი მაღნების ჩანაწოლი.

პერკო ვაჭრები კოტრდებიან.

ირკუტსკში დაიხურა 8 მსხვილი ფირმა სახელმწიფო ვაჭრობასთან კონკურენციის ნიადაგზე.

დახმარება ღარიბ გლეხებს.

საურთიერთო დამხმარე კომიტეტმა უღარიბეს გლეხობის სასარგებლოდ ჯადასდო 200 ცხენი უცხენოთათვის და 200.000 მანეთი კი მათი მეურნეობის გაუჯობესებისათვის.

სატრანსპორტო ფულის ნიშნები.

ს.ს.რ.კ. ფინანსთა კომისარიატის დებულების ძალით ყველა სერიის სატრანსპორტო ფულის ნიშნები (სერტიფიკატორები) ფინანსთა კომისარიატის სახელმწიფო ბანკის და გზათა სამინისტროს სალაროებისგან გამოსაცვლელად მიიღებიან 30 ივნისამდე. ახალი ობლიგაციები არ გამოვა.

გერმანიის ახალი კაბინეტის შედგენა მიენდო მარქს.

კაბინეტის შედგენა.

ორშაბათ საღამოს პრეზიდენტ ებერტმა კვლავ მიანდო კაბინეტის შედგენა კანცლერ მარქსს. ებერტი წინასწარ მოელაპარაკა ნაციონალისტებს მათი მთავრობაში შესვლის შეLeძლებლობაზე.

კაბინეტი უნდა შედგეს ფართე კოალიციის საფუძველებზე. მარქსი ეცდება შეუთანხმდეს ზომიერ მემარჯვენე პარტიებს. ფიქრობს, რომ ახალი კაბინეტი წარუდგება რეიხსტაგს ერთ კვირაში.

საფრანგეთი.

მილიერანის წინააღმდეგ.

გენერალურ საბჭოების და დეპარტამენტების მთელმა რიგმა მიიღეს რეზოლიუციები მილიერანის გადაგომის შესახებ. პუანკარეს სიტყვას, რომელიც წარმოთქმული იყო მაისის დეპარტამენტის საბჭოში, სოციალიან როგორც ოპოზიციის სათავეში მოქცევის სურვილს. პუანკარეს სურს შემოიკრიბოს თავის გარშემო ყოფილ ნაციონალურ ბლოკის რეაქციონური ძალები.

ჩაუფიქრდენ.

საფრანგეთის კომპარტიის ფედერაციის ყრილობამ 9 დეპარტამენტში მხარი დაუჭირა კომპარტიის ცეკას თეზისებს. ქვემო სენას დეპარტამენტში ფედერალური კომიტეტი გადადგა, ვინაიდან დიდმა უმეტესობამ ხმა მისცა ცეკას თეზისებს წინააღმდეგ ფედერალური კომიტეტისა.

საფრანგეთის პალატის კომფრაქციამ მხარი დაუჭირა ცეკას მემარცხენე ბლოკთან ბრძოლაში. დამყარებულია ცეკას კავშირი მასებთან.

ი ტ ა ლ ი ა.

მუსოლინი თავისი პარლამენ-ტის შესახებ.

მთავრობის ფრაქციის კრებაზე მუსოლინმა განაცხადა: იტალიაში სწარმოებს უკანასკნელი ცდა პარლამენტარიზმის შენარჩუნებისათვის. თუ ცდა დამარცხდება, პარლამენტი გაშვებულ იქნება და მის ადგილას დაარსდება სხვა დაწესებულება. საქიროა რათა უმრავლესობამ მიიღოს ზომები და გახადოს პარლამენტი სამაგალითოდ.

არჩევნები იტალიაში.

იტალიის პარლამენტის თავმჯდომარედ 388 ხმით 127-ს წინააღმდეგ არჩეულია ფაშისტი როკო, სენატის თავმჯდომარედ 209 ხმით 62-ის წინააღმდეგ—ტიტონი.

პოლონეთი.

პროტესტი საპატიმროს რეჟიმის წინააღმდეგ.

ზემო სილეზიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები ერთხმად გამოტანილ რეზოლიუციაში პროტესტს აცხადებენ იმ მკაცრი მოპყრობის წინააღმდეგ, რომელიც სწარმოებს კატოვიცის ციხეში.

საპროტესტო ზიმზილი.

ვლოდლავის ციხის პოლიტიკურმა პატიმრებმა გამოაცხადეს საპროტესტო შიმშილი პატიმართა ცემის საწინააღმდეგოდ. ამ ნიადაგზე გაიფიცენ აგრეთვე გრუდზიონტეს პოლიტ-პატიმრები.

„თქვენ იცავთ ძველი რეჟიმის გვამს.“

კომუნისტ კრულიკოვსკიმ წარმოსთქვა სეიმში სიტყვა პოლონეთის არმიის ჯარისკაცთა უფლებათა და მოვალეობათა შესახებ, რომელშიაც მოითხოვდა ჯარის კაცის უფლებას არ აასრულოს დახვრეტის, მუშათა და გლეხთა განდევნის და დაჩაგრულ ერების შეიარაღებულ აჯანყებათა ჩაქრობის ბრძანება.

სიტყვის შემდეგ პეპეესოველებმა და სახალხო დემოკრატებმა სასტიკი ლანძღვა-გინებით გამოლაშქრეს კრულიკოვსკისა და ლანცუცკის წინააღმდეგ. სახალხო დემოკრატ სლედზინსკიმ გაარტყა კრულიკოვსკის სახეში. კრულიკოვსკიმ დასტოცა ტრიბუნა სიტყვებით: „ჩვენ ვიცავთ ახალი ცხოვრების იდეალებს, თქვენ კი— ძველი რეჟიმის გვამებს“.

რადიო ყოველ მხრიდან

რუმინეთი.

ვინი შთაგონებით?

რუმინეთში კვლავ სცემენ ებრაელებს. ტემეშვარის და კლაუზენბურგის ვაჭრებმა პროტესტი განაცხადეს მთავრობის წინააღმდეგ, რადგანაც უკანასკნელმა არავითარი ზომები არ მიიღო უწესრიგობის წინააღმდეგ.

იტალია-ჩეხოსლავაკიის ხელშეკრულება.

მუსოლინმა და ბენეშმა ხელი მოაწერეს რომში იტალიისა და ჩეხოსლავაკიის მეგობრულ თანამშრომლობის შეთანხმებაზე.

იაპონიის პროტესტი შეერთ. შტატების გამოსახლების კანონის წინააღმდეგ.

29 მაისს იაპონიის კაბინეტის საგანგებო სხდომაზე ირჩეოდა საკითხი შეერთებული შტატების კანონის შესახებ, რომლის ძალითაც ასახლებენ იაპონელებს შ. შტატებიდან

ვინაიდან აღნიშნული კანონი არღვევს იაპონია-ამერიკის სავაჭრო ხელშეკრულებას და შეთანხმებას ნაოსნობის შესახებ. იაპონიის მთავრობა უეჭველია წარუდგენს ვაშინგტონს ოფიციალურ პროტესტს.

ბამანადგურებელი ელექტრო ტალღები.

ბრიტანეთის მთავრობასთან უშედეგო მოლაპარაკების შემდეგ, რომ მას ეყიდა ეპარატი, რომელიც იწვევს გამანადგურებელ ელექტრიულ ტალღებს, გამომგონი მატიუ გაფრი ნდა ლონდონიდან ლიონში.

რუსეთის კომუნისტურ პარტიის მე-13-ტე ყრილობა.

ამხ. ბუხარინის მოხსენება.

კომინტერნის საკითხები.

ამხ. ბუხარინი მოხსენებაში კომინტერნის შესახებ ლაპარაკობს ცვლილებებზე, ოომლებიც მოხდა საერთაშორისო ეკონომიკაში. ის აღნიშნავს იმ ძირითად ცვლილებებს, როგორიც არიან: ამერიკის ეკონომიური გაფუძქნის დასრულება, ცენტრალურ ევროპაში ეკონომიური ცხოვრების გაუმჯობესება ბურჟუაზიულ ურთიერთობის თვალსაზრისით, აგრარული კრედიტი და მასთან დაკავშირებული „მაკრატელი“ საერთაშორისო მაშტაბით. კაპიტალისტურ ქვეყნების საერთო სამეურნეო მდგომარეობა უახლოვდება ომამდე არსებულ მდგომარეობას. გამონაკლისს შეადგენს სსხვილი მრეწველობა. უმუშევართა რიცხვი ამერიკაში, ინგლისში, გერმანიაში, ჩეხო-სლოვაკიაში და პოლონეთში უთანაბრდება 1921 წლის სათანადო ციფრებს.

ლახვარი საერთაშორისო კაპიტალიზმისათვის.

ამხ. ბუხარინი აღნიშნავს პურის გაიაფებას მსოფლიო მაშტაბით (შედარებით მრეწველობის საქონელთან) და მიუთითებს, რომ აგრარული კრიზისი, უეჭველია, მოულოდნელ ლახვარს ჩასცემს საერთაშორისო კაპიტალიზმს. ეს უნდა მივიღოთ ჩვენ მხედველობაში სხვა მოვლენებთან ერთად, რომლებიც უშუალოდ არაკვევენ ჩვენს ტაქტიკურ ამოცანებს.

მთელი კაპიტალისტური სისტემის კრიზისი.

საერთაშორისო პოლიტიკის ცვლილებებმა დიდი გადაჯგუფება გამოიწვიეს ბურჟუაზიულ მთავრობების წრეებში კაპიტალისტური მეურნეობის კრიზისსა და მუშათა კლასის შეეიწროებასთან დაკავშირებით.

დღევანდელი კრიზისი მთელი კაპიტალისტური სისტემის საყოველთაო კრიზისია. ამიტომ დღეს ბევრი ქვეყანა განიცდის სერიოზულ პოლიტიკურ სიძნელეს, რომ მაგ. ინგლისის კანადამ პირდაპირი კავშირი დაიჭირა ამერიკასთან; ინდოეთში იზრდება ნაციონალურ-რევოლიუციონური მოძრაობა; საფრანგეთთან დამოკიდებულება გამწვავდა.

სოციალურ-კლასიურ ბრძოლის დარგში იზრდება კომუნისტური გავლენა. ყოველივე ეს აიძულებს საერთაშორისო კაპიტალიზმს შეჰქმნას ერთგვარი პლატფორმა ბურჟუაზიისა მასასთან. საბჭ, კავშირის ცნობის ლოზუნგი დიდ როლს ითამაშებს ბურჟუაზიისათვის.

ფაშიზმი.

არსებობს ორი მოწინააღმდეგე ამოცანა. ბურჟუაზია სცდილობს კაპიტალიზმის აღორძინებას, კომპარტია—კაპიტალიზმის დანგრევას. ბურჟუაზია სცდილობს მიიმხროს საშუალო ფენები—გლეხობა და მუშათა კლასის ნაწილი და კომუნისტების მსგავსად აწარმოებს ერთიანი ფრონტის ტაქტიკას, რაიც გამოიხატება იქ სოციალისტებთან კავშირში და ფაშიზმში.

კაპიტალის შემოტევის პროცესი.

მიუხედავად სხვა და სხვა ქვეყნების სხვა და სხვა გვარი ეკონომიური პირობებისა, კაპიტალის შემოტევის პროცესი ყველა ქვეყნისათვის ერთგვარია, რასაც მ ისდევს პროლეტარიატის ცხოვრების გაუარესება, წვრილ ბურჟუაზიის გაყვლეფა და გლეხთა ექსპლოატაცია, რაიც გამოიხატება ხელფასის დაკლებასა და სამუშაო დღის გადიდებაში,

რკპ-ს წარმომადგენლობის მუშაობა კომინტერნში.

კომინტერნის სადაო საკითხები.

კომინტერნის სადაო საკითხები ისეთივე იყო არსებითად, როგორ პარტ-დისკუსიაში და ჩვენ წარმომადგენლობას კომინტერნში იმავე ბაზით შემოუტანეს (განსაკუთრებით გერმანიის საკითხში), როგორც ცეკას.

მაგრამ როგორც ჩვენში, არც გერმანიის პარტიაში არ მოხდარა გაეხეთქილება, პირიქით წარმოიშვა უფრო შეკავშირებული ხელმძღვანელი ჯგუფი, ვინემ წინად იყო.

მეორე შეცდომა გერმანიის კომპარტიის მარჯვენა ფრთის ამხანაგებისა არის შეხედულება მთლიანი ფრონტის ტაქტიკაზე, რაიც გამოიხატება ერთგვარ პოლიტიკურ მეგობრობაში სოციალ-დემოკრატებთან და არა აგიტაციაში, რომლის საშველებით გააქარწყლონ სოციალ-დემოკრატების გავლენა. გერმანიის კომპარტიის უკანასკნელ ყრილობაზე, მარჯვენა ჯგუფს, რომელიც თავს უმრავლესობად სთვლიდა, არ ქონია არც ერთი გადამჭრელი ხმა.

მუშათა მოძრაობის დიდი ზრდა.

ამხ. ბუხარინი აღნიშნავს რკპ-ს გავლენას სხვა და სხვა ქვეყნის კომპარტიის ხაზზე და ამბობს: „მუშათა მოძრაობა ძლიერდება, რასაც შედეგად მოსდევს კომუნისტური პარტიის გამარჯვება პარლამენტების არჩევნებზე.

თუმცა ჯერ ის მუშათა ფენები, რომლებმაც ხმა მისცეს კომპარტიას ვერ დაშორდენ სოციალ-დემოკრატ-ას იმდენად, რომ გამოვიდენ ოპოზიციი ხელში პროლეტარიატის დიქტატურის მოსაპოვებლად, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ კომპარტიამ იმდენათ გააფართოვა თავისი მუშაობა რომ ის გადაიქცა დიდ მასიურ პარტიად.

გლეხთა ორგანიზაციების ზრდა.

სრულიად ახალია გლეხთა ორგანიზაციების ზრდა საერთაშორისო მდგომარეობაში, რაიც მიეწერება კომუნისტურ გავლენას. მთელ რიგ ქვეყნებში კომპარტიასთან მოდის გლეხთა მოსახლეობის ფართე მასები. წარმოიშვა ორგანიზაციები, რომელშიაც ითვლება ერთ მილიონზე მეტი კაცი.

კომინტერნის ყველა სექციები რუსეთ. კომუნისტ. პარტიის ხაზის მომხრეა.

სსრკ-ს ცნობის, მეურნეობის გაუმჯობესების, ფულის რეფორმისა და ლენინის სახელობის წვეულთა შემდეგ, კომინტერნის ყველა სექციები სცნობენ ჩვენი პარტიის უმრავლესობის ხაზს სწორად.

კომინტერნის მე-5-ე კონგრესი ჩვენი ძალთა შემეტაციების გასინჯვაა.

„ამიტომ—ამბობს ბოლოს ამხ. ბუხარინი—ჩვენ მივდივართ საერთაშორისო კომუნისტურ კონგრესზე და სრულიად დარწმუნებული ვართ იმაში, რომ კონგრესი იქნება არა კომინტერნის რიგევის დასაწყისი, როგორც ჩვენი მტრები ამტკიცებენ, არამედ ძალთა შემეტიდროების ისეთი გასინჯვა, როგორიც იყო მე-13-ე პარტიული ყრილობა“

პამათი ამხ. ბუხარინის მოხსენების გარშემო.

ამხ. რადეკი იცავს გერმანიის კომპარტიის მემარჯვენე ჯგუფს და ხსნის გერმანიის რევოლიუციის დამარცხებას ოქტომბერში არა მაშინდელი ცეკას შეცდომებით, არამედ პოლიტიკური გარემოების სხვა პირობებით, გერმანიის კომპარტიის გამოუცდელობით და მისი მასებთან სუსტი კავშირით. ამხ. რადეკი ურჩევს ბრძოლას კომპარტიის არა მარტო მარჯვნივ, არამედ მარცხნივ გადახრის წინააღმდეგაც. ის აღნიშნავს, რომ კომინტერნის ამოცანას შეადგენს დაეხმაროს ევროპის კომუნისტებს საკუთარ გამოცდილებასთან ერთად იხელმძღვანელონ ლენინის მოძღვრებით, ვინაიდან მხოლოდ რუსეთის რევოლიუციის გამოცდილებით არ შეიძლება მოწყობილ იქნას კომპარტია დასავლეთში.

ამხ. მანუილსკი რადეკის წინააღმდეგ მიდის გერმანიის შემთხვევებისა და გერმანიის კომპარტიის ცეკას შეფასებაში და აღნიშნავს, რომ გერმანიის კომპარტიის მემარჯვენე ჯგუფები სოლიდარულია ჩვენი ოპოსიციისაო.

ამხ. სუვორინი გამოდის „განმარტებით საფრანგეთის კომპარტიის ოპოზიციის შესახებ.

ამხ. ბუხარინის საბოლოო სიტყვა.

საბოლოო სიტყვაში ამხ. ბუხარინი აბათილებს რადეკის მიერ წამოყენებულ ბრალდებებს კომინტერნისადმი გერმანიის საკითხში. მომხსენებელი მიუთითებს რომ როდესაც კომინტერნის აღმასკომში წარმომადგენელთა უმეტესობა აღნიშნავდა გერმანიის კომპარტიის ხაზის რადიკალიზაციას, მაშინ ამის წინააღმდეგ მიდიოდა მხოლოდ რადეკი.

ყალბია რადეკის საბუთი მასიურ ორგანიზაციების სისუსტის შესახებაც, ვინაიდან პოლიტიკურ ორგანოების ქსელის მომზადების საკითხი გამომუშავებული იყო.

ბოლოს ამხ. ბუხარინი შეეხო ორ ფრონტზე ბრძოლის ლოზუნგს და სთქვა: „კომინტერნი არ უარყოფს ბრძოლას მარცხენა სისულელეების წინააღმდეგ, მაგრამ ის განაგრძობს ბრძოლას მარჯვნივ გადახვევის წინააღმდეგაც, რაიც წარმოადგენს საერთაშორისო მოძრაობის ცენტრალურ საფრთხეს. რაც შეეხება გერმანიის კომპარტიის ხელმძღვანელობას, კომინტერნი სთვლის გერმანიის კომპარტიას საუკეთესოდ. ამ ბოლოს მომხდარ გერმანიის კომპარტიის ყრილობამ დაჭმო მარჯვენა ფრთის ხა-

ზი, რომელსაც დღეს იცავს ამხ. რადეკი. გერმანიის კომპარტიის უმრავლესობა ეხლა შემჭიდროებულია და მისი ხაზი სავსებით სწორია“.

რეზოლიუცია ამხ. ბუხარინის მოხსენების შესახებ.

ამხ. ბუხარინის მოხსენების შესახებ ყრილობას გამოაქვს შემდეგი რეზოლიუცია: „მე-13-ე ყრილობა სავსებით იწონებს რკპ-ს წარმომადგენლების მუშაობის კომინტერნის აღმასკომში და სავსებით უჭერს მხარს კომინტერნის აღმასკომის ტაქტიკურ ხაზს.

ყრილობა აღნიშნავს, რომ მარჯვნივ გადახვევას, რომელსაც იწონებს რკპ-ს ცეკას წინააღმდეგ ამხ. რადეკი, არავითარი საერთო რკპ-ს ხაზთან არ აქვს. მეცამეტე ყრილობა კერძოდ, მხარს უჭერს კომინტერნის აღმასკომის ხაზს გერმანიის, საფრანგეთის და ინგლისის საკითხებში“.

მოხსენება მილიციონურ ჯარზე.

28 მაისს, საღამოს 7 საათზე, ჩვენს ცენტრ. კლუბში შესდგა თბილ. გარნიზონში მდგომ ქართ. დივ. ნაწილების უფ-პოლიტშემადგენლობის კრება.

სკენაზე არიან: ამხ. ამხ. თენგიზ ყენტი, ლევკოაძე, ართმელაძე, გომბრონიძე, გიორგაძე და კავკასიის წითელ დროშიან არმის ახალი სარდალი—ამხ. პუგაჩოვი, რომელიც ხსნის კრებას.

მომხსენებელია ამხ. გიორგაძე. თემა: მილიციონური ჯარის თეორიული და პრაქტიკული მხარეები. მოხსენება რუსულ ენაზეა.

ამხ. გიორგაძემ ბევრი ილაპარაკა მილიციონური ჯარის უპირატესობაზე, ბევრი საყურადღებო ცნობები მიაწოდა დამსწრეებს და თავისი მოხსენება გაამდიდრა ისტორიული ექსკურსიების გაკეთებით. მან მოიყვანა გეორგ ვაშინგტონის დროის (სამხრეთ და ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების ომები), ინგლისის რევოლიუციის, ბაბილონელთა, ასურელების, გერმანელთა, შვეიცარიის, საფრანგეთის დიდ რევოლიუციის მრავალი მილიციონური ჯარების მაგალითები.

თეთრსა და წითელ მილიციონურ ჯარებს შორის დიდი განსხვავებაა.

მომხსენებელი უპირდაპირებს ზევით ჩამოთვლილ თეთრ მილიციონურ ჯარებს ჩვენს წითელ მილიციონურ ჯარს და ააშკარავებს მათ შორის არსებულ წინააღმდეგობას. ისინი, ამბობს მომხსენებელი, იცავენ ბურჟუაზიულ ქვეყნებს, ხოლო ჩვენი კი მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას, მუშათა და გლეხთა ინტერესების დამცველია, მაშასადამე მისი აღზრდაც სულ სხვა საფუძველზე იქნება მოწყობილიო და აქ იმოწმებს ცნობილ ავტორიტეტს ენგელსს.

მშვიდობიანობა მგსურს—თავდაცვისთვის მზადავართ.

ეხება რა სახელმწიფო მშვიდობიანურ აღმშენებლობითი მუშაობის მნიშვნელობას, ამხ. გიორგაძე აღნიშნავს, რომ „მუდმივი ჯარი ამ მხრივ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოსაგან მოითხოვს დიდ ხარჯებს, რადგან შრომის ფრონტს დიდი ხნით სცილდება აუარება მუშა ხელი, მაგრამ მეორე მხრივ საჭიროა მუდამ მზად ვიყოთ იმპერიალისტურ სახელმწიფოების შესაძლებელ თავდასხმისათვის.

მილიციონური ჯარი, აკმაყოფილებს ორივე მოთხოვნილებებს. მილიციონური სისტემა ამაგრებს შრომის ფრონტს, და ძლიერი ვიქნებით შეიარაღებულ ძალითაც. ამის შემდეგ ვერც ერთი მტერი ვერ გაბედავს ჩვენზე თავდასხმას, რადგან ეცოდინებათ, რომ მათ ბრძოლა მოუხდებათ თავის ქვეყნის მოყვარულ და ამისათვის თავგანწირულ სამხედრო, პოლიტიკურ და კულტურულად, აღზრდილ მილიციელ ჯარის კაცთან, რომელიც ბევრჯერ უფრო საშიში იქნება მისთვის, ვიდრე ყაზარმაში მყოფი მუდმივი ჯარი და სხვა.

იგი მიუთითებს დამსწრეებს, რომ ნურავის ნუ ეგონება, თითქოს მილიციონური ჯარი არ იყოს რეგულიარული, იგიც რეგულიარულია, მაგრამ სულ სხვა პრინციპზე აღზრდილი და შექმნილი მცირე დროის განმავლობაში.

მომხსენებელი ვრცლად შეეხო აგრეთვე უფ-პოლიტშემადგენლობის როლს მილიციონურ ჯარში. მომხსენებელმა ორ საათზე მეტი ილაპარაკა და სავსებით ამოსწურა ყველა საყურადღებო კითხვები მოხსენებამ გამოიწვია მხურვალე ტაში.

კამათი არყოფილა.

მოხსენების დასას. ამხ. თენგიზ ყენტი აცხადებს, რომ მომხსენებ. ეხლა ილაპარაკა მილიციონურ ჯარის თეორიულ და პრაქტიკულ მხარეებზე და ამ მოკლე ხანში, რომელიც ცალკე იქნება გამოცხადებული, იგი წაიკითხავს მოხსენებას მილიციონური ჯარის ორგანიზაციაზე.

ანი.

ლენინის ნაწერები შეძენილი უნდა იქნეს.

შაბათს 24 მაისს შესდგა პირველი ლეგიონის კომჯარედების გაერთიანებული კრება. დაესწრო კომკავშირის წევრებიც.

დღის წესრიგი იყო:

1) მოხსენება საფრანგეთის დიდ რევოლიუციაზე.

2) ს. კ. პ. მესამე ყრილობის შედეგებზე.

3) ლენინის ნაწარმოების გამოწერა და სხვა. საფრანგეთის დიდი რევოლიუციაზე მოხსენება გაეკეთა ამხ. ნავერიანმა. ს. კ. პ. ყრილობის მუშაობის შედეგების გარშემო ლაპარაკობს ამხ. ნუცუბიძე.

გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, სადაც ორგანიზაციაა აღნიშნავს ყრილობის მუშაობის ნაყოფიერებას, ესალმება მის დადგენილებებს და ფიცსა სდებს უცვლელად გაატაროს ცხოვრებაში ყრილობის დადგენილებანი.

შემდეგ საკითხად დასმული იყო ქართულათ ნათარგმნი ლენინის ნაწარმოების გამოწერა სახელგამიდან. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ უმრავლესობამ სურვილი განაცხადა ლენინის თხზულებათა გამოწერაზე და ამის მოგვარება მიანდო ბიურო კოლექტივს.

ლ.

კომუნისტური პარტიის რიგებს 12 მომზადებული ამხანაგი გადაეცა.

25 მაისს კავკასიის არმიის სამხედრო-პოლიტ. სასწავლებლის ახალგაზ.-კავშირის უჯრედმა იდღესასწაულა თავის 1 წლის არსებობის დღე.

ჩვენი სასწავლ. ამზადებს პოლიტიკურ მომუშავეებს მთელ ამ.-კავკ. არმიისათვის და ამიტომ სასწავლებელის კურსანტთა შემადგენლობა ინტერნაციონალურია.

კერძოთ რომ აღოთ კომ. კავშირის უჯრედი თქვენ იქ ნახავთ ყველა ეროვნების წარმომადგენელს: ქართველს, სომეხს, მუსულმანს, რუს, და სხვა. ჩვენი მუშაობა მიმდინარეობს ძმური თანამშრომლობის ქვეშ. განსაკუთრებით ეს აღინიშნა ხსენებულ დღესასწაულის ჩატარების დროს.

დღესასწაული გაიხსნა საზეიმო სხდომით, რომელსაც დაესწრენ არმიის პოლიტ-სამართველოს, მუშათა უჯრედების, კომუნისტური უნივერსიტეტის, ცენტრ. პარტ. შკოლის, მუშფაკის და სხვა და სხვა სამხედრო ნაწილების წარმომადგენლები. საერთო მისალმების შემდეგ კომ. პარტიის რიგებს გადაეცა 12 საუკეთესოდ მომზადებული ამხანაგები.

საზეიმო სხდომა დასრულდა, რის შემდეგაც ადგილობრივი კომუნისტური კავშირის ძალებით გაიმართა წარმოდგენა კონცერტიული განყოფილებით.

ხომზური.

ახალ-ფვეულთ.

(ჯარში გაწვევის გამო).

შრომის უღელ ქვეშ აღზრდილთა
შრომა მოგიწვევთ მხსნელადა,
სადარაჯოზედ დადექით
თავისუფლების მცველადა!

—

რაც თქვენ და თქვენსა მოძმეებს
გულს ესო ლახვრად, მწველადა
მის დასათრგუნად სიმართლემ
მშრომელნი გაგბელადა.

—

მათ დამარცხებას ბოროტნი
ელირსებიან ძნელადა,
თუ თქვენ დადგებით კლდესავით—
დიდ მონაპოვრის მცველადა....

—

გელით წითელი ყაზარმა
წითელი შემეცნებითა,
ის შეგასწავლით, რომ შრომა
იმეფებს თქვენს ნებითა.

—

იქ აღიზრდებით დიადი—
მუშურ-გლეხური მცნებითა,
თქვენის მხნეობით მშრომელნიც
ამოისუნთქვენ შვებითა...

—

ახალგაზრდობავ! ისწრაფე
შენ საამაყო ალაგზე,
ძლევა-მოსილი სიმტკიცით
შენი რიგები დარაზმე
და ყველა მტერი მაშვრალთა
გაანადგურე—ალაგმე!

დ. ხიხაძე.

ჩვენი კედლის გაზეთები.

„წითელი დროშა“ № 17 (ცალკე საკავშირო ასეულის ორგანო).

გაზეთი გამოვიდა საფრანგეთის დიდი რევოლიუციის 135 წლის თავზე, გაზეთი დიდი ფორმატისაა, სუფთა ხელნაწერი და კარგად დასურათებულია. სურათები საკავშირო ასეულის ცხოვრებიდან. წითელი არმიელი მიაფრიალებს წითელ დროშას და იხმობს ამხანაგებს სინათლისა და გამარჯვებისკენ.

წერილებია: „საფ. დიდი რევოლიუციის 135 წ. თავზე“—ვ. ს-ძესი, „ბანაკად გასვლა“, —სვირელისა, „ვემზადოთ ახალწვეულთა შესახვედრად“—გელაშვილისა, ლექსი გიოშვილისა, „მესტვირული“—ვ. ს. ასეულის ცხოვრება, პარტიული ცხოვრება, იუმორი, რებუსი და სხვა.

ყველა როგორც წერილები, ისე ლექსები და მხატვრობა კარგს შთაბეჭდილებას სტოვებს და ეტყობა დახელოვნებული ხელი.

ხელნაწერიც გასაგებია და ზომიერია.

საკავშირო ასეულის კედლის გაზეთებს, ჩვენს დივიზიის ნაწილების კედლის გაზეთთა შორის, ერთი პირველ ადგილთაგანი უჭირავს და ეს ნომერი ერთხელ კიდევ ადასტურებს ამას.

სალამი ჩვენ წითელ-არმიელების შემოქმედებას.

ხანი.

ქართ. დივ. სამხ. ტრიბუნალში.

გაუსწორებელი დეზერტირი.

(აკ. ნანაძის საქმე)

28 მაისს რევტრიბუნალმა გაარჩია, მეორე ლეგიონის წითელ არმიელ აკაკი ნანაძის საქმე. მას ბრალდება სამჯერ დეზერტირობა და სახაზინო ქონების გაფლანგვა. 1923 წლის 26 ოქტომბერს იგი უნებართვოთ იპარება სახლში და უკან ცხადდება, თავისივე ნებით, მხოლოდ 1-ლ ნოემბერს. შემდეგ ბრალდებული ნანაძე ხდება ავათ და იგზავნება საავადმყოფოში, საიდანაც კვლავ იპარება სახლში და დაახლოებით ერთი თვის შემდეგ თავისივე ნებით ცხადდება ნაწილში. ამა წლის 23 იანვარს ნანაძე მესამეთ გაიპარა სახლში და უკან გამოცხადდა მხოლოდ 7 თებერვალს.

ერთხელ, როდესაც აბანოში მიყავდათ წითელ-არმიელები, ნანაძე ჩამორჩათ მათ უკან და დუქანში მიაბარა შეკრული სახაზინო ნივთები (საბანი, მატრაკი და ბალიშის პირი) აბანოდან დაბრუნებისას, როდესაც უნდოდა მიეკითხა მედუქნესთვის, დუქანი დაკეტილი დახვდა და ამნაირად, ნივთები დაიკარგა.

ორივე ბრალდება ტრიბუნალმა სცნო დამტკიცებულად და მიუსაჯა მას: სამჯერ დეზერტირობისათვის სამი წლით გამსახლში მოთავსებულ

და მთელი ქონების ჩამორთმევა, ხოლო სახაზინო ქონების გაფლანგვისათვის თავისუფლების აღკვეთა გამასწორებელ სახლში მოთავსებით ექვსი თვის ვადით.

დასასრულ, ტრიბუნალმა მიიღო ბრალდებულის განუვითარებლობა და საერთო სასჯელი შეუმცირა ექვს თვემდე წინასწარ დაპატიმრების დროს ჩათვლით და 15 მანეთის ქონების ჩამორთმევით.

ახალი ამბები.

— **რევტრიბუნალში.** დღეს რევტრიბუნალში გაირჩევა ვასილ აბულაძის საქმე, ხოლო გუშინ გაირჩა, აბულაძის მაგივრ ელიოზ ბასილაძის საქმე.

— **საბურთალოს გაწმენდა.** ქალ. აღმასკომი უკვე შეუდგა საბურთალოს არხების და ჭაობიან ადგილების ამოშრობას და გაწმენდას.

— **ნაძალადევის გამშვენიერება.** ქალ. აღმასკომმა დაიწყო ლენინის რაიონის (ნაძალადევი) ქუჩების ქვაფენილებით მოგება და გამშვენიერება,

— **ვერცხლის ფულის მიღება.** ფინანსთა კომისარიატმა მიიღო ვერცხლის მსხვილი ფული—მანეთიანები და ათშაურიანები. ფული თანაბრათ განაწილდება ა | კ. რესპუბლიკათა შორის.

— **სასოფლო სამეურნეო მუზეუმი.** უახლოეს ხანში თფილისში გაიხსნება სასოფლო-სამეურნეო მუზეუმი. ამისათვის წინადადება მიეცა ყველა კოოპერატივებს დაამზადონ შესაფერი ნიმუშები.

— **საკურორტო კოოპერაცია.** ცეკავშირმა გადაწყვიტა დაარსოს საკურორტო კოოპერატივი, რომელიც დახმარებას აღმოუჩენს კურორტ ბაგრაკებს.

— **მოსავალი კახეთში.** უკანასკნელ ხანებში, სიღნაღის მაზრაში მოვიდა წვიმები, რის გამოც მოსავალს კარგი პირი დაეტყო.

— **კომინტერნის ხუთი წლის თავი.** ტფილისის პოლიტგანათლება შეუდგა მზადებას ტფილისში კომინტერნის ხუთი წლის თავის დღესასწაულის ჩასატარებლად.

— **სამუშაოზე გაგზავნა.** 28 მაისს შრომის ბირჟამ სამუშაოზე გაგზავნა 136 უმუშევარი. ახლათ ჩაწერა 101.

— **მომგებიანი სესხის კომპანია.** გორის მაზრის აღმასკომმა მიწერილობები დაუგზავნა რაიაღმასკომებს, რათა მათ მოიწვიონ გლეხთა ყრილობები და აუხსნან მათ მომგებიანი სესხის მნიშვნელობა.

— **მეფუტკრეობის კურსები.** გორში გახსნილ მეფუტკრეობის კურსებზე ჩამოსულ გლეხებს ყოველდღიურათ ეძღვნებათ ათ-ათი შაური სამადასკოსის თანხებიდან.

— **ინგურ-სენაკის გზატკეცილი.** ზუგდიდის სამაზრო აღმასკომმა შეადგინა აღძრა ა. კ. გზატკეცილების სამმართველოს წინაშე, რათა გადადებულ იქნას სამართველოს მიერ 4 000 მანეთი ინგურ-სენაკის გზატკეცილის საფუძვლიანად შესაკეთებლად.

— **სულით ავადმყოფთა ახალშენი.** სურამში არსებულ სულით ავადმყოფთა ახალშენში ამ ჟამად არსებობს 65 საწოლი ახალშენთან მოეწყო ბაღი, სადაც მუშაობენ თვით სულით ავადმყოფნი.

— **მუშების ექიმობა.** ჯანმრთელობის კომისარიატმა გადასწყვიტა დაათვალიეროს ის დაწესებულებანი, სადაც შეჩნეულია რომ მუშები ზშირად ხდებიან ავათ კბილების ავადმყოფობით და მოაწყოს იქ კბილის საექიმო პუნქტები.

— **ამინდი ბათუმში.** ბათუმში უკანასკნელათ სიცხეები დაიკარა. მანდარინებისათვის და ფორთოხალებისათვის აპარისტანში კარგი ამინდებია.

ხელოვნება.

— **საღამო უპატრონო ბავშვთა სასარგებლოდ.** 31 მაისს სახ. კონსერვატორიაში გაიმართება აღმოსავლეთური მუსიკის საღამო. შემოსავალი მოხმარდება უპატრონო ბავშვებს.

— **სულხანიშვილის ხსოვნის საღამო.** შაბათს, რუსთაველის თეატრში გაიმართება კომპოზიტორ ნიკა სულხანიშვილის ხსოვნის საღამო.

შეცდომების გასწორება

ჩვენი გაზეთის № 509-ში მოთავსებული იყო წერილი სათაურით: „**საკავშირო** ასეული კოლტფრონტზე", უნდა იყოს: „**მესანგრე ასეული**" და სხ. № 510-ში გაგვეპარა შემდეგი კორექტორული შეცდომა: მესამე გვერდზე დაბეჭდილია წერილი სათაურით—„**სამილიციო კომპანიის ჩატარება**", უნდა იყოს: „**სამობილიზაციო კომპ.**" და სხ.

კომფლექსური მეთოდით სწავლება ჯარში.

(გაგრძელება *).

საერთო თემა გაკვეთილის კი იქნება შრომა.

მიზანი:

1. წერა-კითხვის პროცესის განმტკიცება.
2. ანგარიშში—მიმატება და გამოკლება.
3. დასავლეთ საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია.
4. დასავლეთ საქართველოს რუქის შედგენა.
5. ქვეყნის მხარეები: აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი, სამხრეთი.
7. პოლიტიკური ცოდნის განმტკიცება შრომის პრინციპის შესახებ.

გაკვეთილი იწყება შემდეგი კითხვა—პასუხით:

კითხვა: რომელ სოფლიდან ხართ?

უპასუხეენ რამოდენიმე წითელ არმიელნი, ასახელებენ დასავლეთ საქართველოს სხვა და სხვა სოფლებს.

კითხვა: საქართველოს რომელ მხარეშია ეს სოფლები?

პასუხი: დასავლეთ საქართველოში.

კითხვა: ქვეყნის რომელ მხარეს ქვიან დასავლეთი, აღმოსავლეთი, სამხრეთი, ჩრდილოეთი?

მასწავლებელი თვითონ აწვდის მოწაფეებს ფიზიკურ გეოგრაფიულ ცნობებს ქვეყნის ნახარეების შესახებ.

კითხვა: რომელი ნაწილებიდან შესდგება დასავლეთ საქართველო?

პასუხი: ასახელებენ დასავლეთ საქართველოს ნაწილებს: გურია, სამეგრელო, იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი და სხვა.

კითხვა: რა საზღვრავს დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ საქართველოდან.

პასუხი: სურამის მთები.

კითხვა: სამხრეთით, ჩრდილოეთით დასავლეთით **რა** საზღვრავს საქართველოს ამ ნაწილს.

ამ კითხვა პასუხის დროს მასწავლებელი თვალსაჩინოთ დაფაზე მოწაფეთა აქტიურ მონაწილეობით თვითონ ადგენს დასავლეთ საქართველოს რუქას. მოწაფეებს კი მაშინვე გადაქვთ ქაღალდზე.

მასწ. ჩვენ დავასახელეთ დასავლეთ საქართველოს შემადგენელი ნაწილები და ზოგიერთი სოფლები; ეხლა ვინ დამისახელებს დასავლეთ საქართველოს ქალაქებს. ასახელებენ: ქუთაისი, ზესტაფონი, ოზურგეთი, ჭიათურა და სხვა.

რით არის განთქმული ჭიათურა?

პასუხი: მადნეულობით.

კითხვა: **რა ქვიან ჭიათურის მადნს?**

პასუხი: **შავი ქვა.**

აქ მასწავლებელი აძლევს განმარტებას **შავი ქვის** შესახებ: როდის იქმნა **შავი ქვა** აღმოჩენილი. სად გაავთ ის და **რას აკეთებენ** მისგან, **შავი** ქვის **მნიშვნელობა** საქართველოს ეკონომიურ აღორძინებაში და სხვა. გარდა ამისა აწვდის სტატისტიკურ ცნობებს, **რომელ** წელს **რამდენი** ფუთი **გაიტანეს** და **მოხერხებულად** გადადის **ანგარიშზე**, **რომლის** მიზანია **აუხსნას** მოწაფეებს **მთელი** რიცხვების **მიმატება** და **გამოკლება.** ამ მიზნით **მოყავს ისევ** ჭიათურის ცხოვრებიდან **შემდეგი** მაგალითები.

1922 წელს ფოთის ნავთ-სადგურით **გაიტანეს 14.349** ფუთი **შავი ქვა, 1923** წელს **2.458** ფუთი რამდენი ფუთი **შავი ქვა** გაუტანიათ **უკანასკნელ** ორი **წლის** განმავლობაში (სტატისტიკა სწორი **უნდა** იყოს) **მასწავლებელი** განუმარტავს **მთელი** რიცხვების **შეერთების** წესს.

გამოკლებისთვის შეუძლია **მოიყვანოს** **მაგალითი:** **მაგრამ** **წასულ** **წლებში** **ამდენი** **არ** **გაუტანიათ** **სა**ზღვარ-**გარეთ** **შავი** **ქვა,** **მაგ.** **1919** **წ.** **გაიტანეს** **8.789** **ფუთით** **ნაკლები** **ვინემ** **1922** **წელს** **რამდენი** **ფუთი** **შავი** **ქვა** **გაუტანიათ** **1919** **წელს.** **აქაც** **მასწავლებელი** **აკნობს** **გამოკლების** **წესს** **და** **მოყავს** **სხვა** **მაგალითებიც** **მიმატებაში** **და** **გამოკლებაში** **სავარჯიშოთ.**

კითხვა: **როგორ** **გგონიათ** **ეს** **შავი** **ქვა** **დამზადებული** **სძევს** **მიწაში** **სა**ზღვარ **გარეთ** **გასატანათ?** **რასაკვირველია** **არა.** **აქ** **მასწავლებელი** **ერ**ცლად **განმარტავს** **თუ** **რა** **შრომაა** **საჭირო** **შავი** **ქვის** **საზღვარ-გარეთ** **გატანამდე:** **ამოღება** **მიწიდან** (**აკ**ნობს **აგრეთვე** **ჭიათურის** **შავი** **ქვის** **მაღაროების** **გვირაბებს,** **სადაც** **უხ**ლებათ **მუშაობა**). **შავი** **ქვის** **გაწმენდა,** **გარეცხვა** **და** **საერთოდ** **აღნიშ**ნავს **ამ** **დიდი** **შრომის** **სიძნელეს.**

ვინ **ასრულებს** **ამ** **შრომას?** **რასაკვირველია** **მუშები.** **აქაც** **მასწავლებელი** **პოლიტიკური** **თვალსაზრისით** **განმარტავს** **თუ** **მშრომელი** **კლასის** **რომელ** **წაწილს** **ეწოდება** **მუშები.** **კერძოთ** **ჭიათურის** **მაღაროების** **მუშების** **შესახებ** **აძლევს** **ცნობას** **რომ** **არიან** **მუდმივ** **მუშები,** **რომლებიც** **მთელი** **წლის** **განმავლობაში** **მაღაროებში** **მუშაობენ,** **არიან** **კიდევ** **გლეხებიც** **რომლებიც** **მხოლოდ** **ზამთრობით,** **როცა** **სოფლად** **ნაკლები** **მუშაობაა** **მიეშურებიან** **ჭიათურისკენ.**

ამ **გვარათ** **როგორც** **მუშა** **ისე** **გლეხი** **მთელი** **წლის** **განმავლობაში** **ჩამბულია** **მუდმივ** **შრომაში;** **აქ** **მასწავლებელი** **შეჩერდება** **და** **განმარ**ტავს **გლეხისა** **და** **მუშის** **შრომის** **ხასიათის** **სხვა** **და** **სხვაობის** **შესახებ,** **აღნიშნავს** **აგრეთვე** **თუ** **რა** **მჭიდრო** **კავშირია** **საჭირო** **მუშისა** **და** **გლეხის** **შრომის** **შორის** **ჩვენი** **ქვეყნის** **ეკონომიურად** **წარმატებისათვის.** **აძ**ლევს **განმარტებას** **აგრეთვე** **შრომის** **პრინციპის** **შესახებ.** **აღწერს** **ამ** **ჟამ**ად **ჩვენში** **არსებულ** **შრომის** **პირობებს,** **აღარებს** **მათ** **წარსულ** **დროის** **კაპიტალისტურ** **ქვეყნების** **შრომის** **ჯოჯოხეთურ** **პირობებს** **და** **ხაზგასმიდ** **აღნიშნავს** **ჩვენში** **არსებულ** **შრომის** **პირობებს** **დიდ** **უპირატესობას** (**რვა** **საათის** **სამუშაო** **დღეს** **ხელფასი** **და** **სხვა** **მრავალი**) **აღნიშ**ნავს **აგრეთვე** **ძველი** **რეჟიმის** **დროს** **და** **ეხლაც** **ევროპაში** **შრომის** **ექსპლოატაციას,** **მეტ** **შრომას** **და** **ნაკ**ლებ **ნაყოფიერებას** **და** **ჩერდება** **ამ** **დროიდელი** **მღარეების,** **ფაბრიკ-ქარხნების** **ბატონ-პატრონების** **მიერ** **შრომისა** **და** **მშრომელის** **წინააღმდეგ** **მიმართულ** **ჯალათურ** **წინააღმდეგობის** **შესახებ.** **აღარებს** **მაშინდელ** **წარ**მოების **მდგომარეობას** **ეხლანდელთან** **განმარტავს** **საწარმოო** **დარგების** **გაერთიანებას,** **ყველა** **სამრეწველოების** **მშრომელთა** **განკარგულებაში** **გადა**სვლის **შესახებ** **და** **სხვა.**

კერძო **სოფელი** **მშრომელი** **გლ**ეხობის **შესახებ** **აღნიშნავს,** **რომ** **მისი** **შრომაც** **არ** **იყო** **თავისუფალი** **ბა**ტონებისაგან **და** **მოყავს** **მაგალითები** **თუ** **როგორ** **მაჯლაჯუნასავით** **აჯდნენ** **გლეხებს** **მემამულეები,** **რომ** **სამი** **მეოთხედი** **გლეხის** **შრომის** **ნაყოფისა** **ჭირნახულის** **სახით** **მიჰქონდათ** **მემამულეებს** **და** **სხვა.** **აღნიშნავს** **აგრ**ეთვე **ეხლანდელ,** **სოფლის** **მშრომელის** **შრომის** **მდგომარეობას** **და** **მის** **განთავისუფლებას** **მემამულეთა** **ბატ**ონობისაგან.

(**შემდეგი** **იქნება**)

მასწავლებელი.

სამხედრო საქმე

აირების გაგათილება.

სანამ **ხარდალის** **აირს** **შემოიღებ**დენ **საბრძოლო** **საშვალებათ,** **ის** **ად**გილი **სადაც** **მიშვებული** **იყო** **რაიმე** **აირი,** **საკმარისი** **იყო** **განიავებულ,** **რომ** **მოწამლის** **ხიფათი** **აცილებული** **ყოფილიყო.** **გამოცდილებამ** **აჩვენა,** **რომ** **ტრანშეიებში** **და** **სავანეში** **დ**ანთებული **ცეცხლის** **კოცონები** **ნამ**დვილ **საშუალებას** **წარმოადგენ** **ამ** **მიზნისათვის,** **მხოლოდ** **მარტო** **იმ**ტომ, **რომ** **იგი** **იწვევს** **ჰაერის** **მბრუ**ნვას. **ინგლისელებმა** **განსაკუთრებუ**ლი **ხელსაწყოც** **იხმარეს** **ტრანშეე**ბიდან **აირის** **გასადევნათ** **ე.** **წ.** **ერ**ტონის **ვენტილატორები.** **მხოლოდ** **მან** **ვერ** **მოიპოვა** **ფართე** **მოხმარება,** **ვინაიდან** **ატმოსფერის** **ჩვეულებრივ** **პირობებში** **ბუნებრივ** **განიავებას** **ტრანშეებიდან** **უფრო** **სწრაფად** **გაა**ქვს **აირი** **ტრანშეიდან,** **და** **ამავე** **დროს** **ცეცხლი** **სავანეებში** **უფრო** **უკეთესათ** **სწმენდავს** **აირისაგან,** **ვი**დრე **ვენტილიატორი.**

ხარდალის **აირის** **შემოღების** **ეს** **პირობანი** **მთლიანად** **შეიცვალენ,** **ვინაიდან** **იგი** **წარმოადგენს** **სითხეს,** **რომელსაც** **დღეღამის** **მეტად** **მაღალი** **წერტილი** **აქვს** **და** **ორთქლდება** **რა** **მეტად** **ნელა,** **დედამიწაზედ** **მცენარეების** **ზედაპირზედ** **და** **სხვა** **საგნებზედ** **შეშაპარუნებული,** **მთელი** **დღეებით** **ინახება.**

განსაკუთრებულად **იგი** **დიდხანს** **რჩება** **ჭურვებისაგან** **ამოთხრილ** **ძაბ**რებში, **სადაც** **აფეთქების** **ძალას** **მეტ**ად **ღრმად** **მიჰყავს** **აირი** **მიწაში,** **ძაბრის** **ნაწიბურების** **გატეხილ** **ად**გილებში. **ხარდალის** **აირის** **მოსასპობად** **ბევრი** **ნივთიერებით** **იყო** **წარ**მოებული **ცდები,** **მხოლოდ** **ყოველ** **გვარ** **პირობებში** **და** **პრაქტიკისათვის** **გამოსადეკი** **აღმოჩნდა** **ქლორის** **კირი;** **ქლორის** **კირს** **ჰკრიდენ** **ძაბრე**ბის **ძირში,** **აპნევდენ** **სავანების** **იატაკზედ** **და** **სხვა** **ადგილებზედ.** **სა**დაც **კი** **სითხეს** **შეეძლო** **მოხვედრილიყო** **გამსქვარი** **ჭურვიდან.** **ამავე** **დროს,** **მეტად** **სასურველად** **იყო** **ცნობილი** **ქლორის** **კირით** **სავსე** **ყუ**თების **ქონა** **ყოველ** **სავანეს** **შესავალში,** **რათა** **ყველა** **იმას,** **ვინც** **კი** **ხარდალის** **აირის** **მოკმედების** **ქვეშ** **მოხდებოდა,** **თავისუფლად** **შესძლებოდა** **საფუძვლიანათ** **წაესვა** **იგი** **ფეხსაცმელზედ** **და** **ამ** **გვარად** **მოესპო** **ფეხსაცმელის** **ძირზედ** **და** **გვერ**დებზედ **აირის** **ნიშნები.** **ყოფილა** **შემთ**ხვევა, **როდესაც** **სავანეში** **მყოფნი** **მოწამლულან** **შემოსულ** **ჯ.** **კაცთა** **ფეხსაცმელისა** **და** **ტანისამოსისაგან.** **ამ** **გვარად** **მოწამლულან** **აგრეთვე** **ექიმები** **და** **მოწყალების** **დები,** **ხარ**დალის **აირით** **მოწამლულ** **ავათმყო**ფებისათვის **დახმარების** **აღმოჩენის** **დროს.**

გ. ბ—შვილი.

გაზეთ „**წითელი არმიელის**" რედაქციაში მიიღება ხელის მოწერა

უოველდღიურ სამხედრო გაზეთ

„ კრასნაია ზვეზდა "-ზე

სამხედრო ნაწილები და ორგანიზაციები, რომლებიც გამოიწერენ ერთი მისამართით 28 ც. გაზეთს სამი თვით (ან 15 ც. 6 თვით, 10 ც. 9 თვით) მიეცემათ უფასო დამატება: მხატვრული კრებული—ალბომი „ დიადი საფლავთან" მიძღვნილი ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი.

ხელის მოწერა მიიღება ყოველი თვის პირველ რიცხვებში.

გაზეთის ფასი:

1 თვით—1 მანეთი, 3 თვით—2 მანეთი 75 კაპ., 6 თვით—5 მან. 25 კაპ., 9 თვით—7 მან. 75 კაპ., ერთი წლით—10 მ.

*) იხ. № 510.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 800 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—ლ. ჩანტლაძე.